

გილანელი მოლა

გილანს ერთი მოლა იყო. ბრინჯი დაეთესა და ველურმან ღორებმან დია წაუხდინეს. მოლამ ღორის ქაშანზე დიდი ორმო ჩათხარა და ლელი წაჰბურა და წამოვიდა. რა ნაჩვევნი ღორნი მოვიდენ, ორმოზე გამოიარეს, ლელმან უტყუა და ერთი დიდი ტახი ორმოში ჩავარდა.

მივიდა მოლა, ნახა, ღორი შიგ გდია. აილო უღელი და ზევიდამ შიგ ჯგვლემა დაუწყო და გინება. უღლის ტახიკი მოლას კისერზე მოედვა და მოლაც ღორთან ჩავარდა. ღორმან მოლას ღოჯით ცემა და კბენა დაუწყო, ასე გახადა, მთელი ასო აღარ შეარჩინა. რამდენს მოლა ეხვეწებოდა, ღორი უარესს უზამდა.

- მის მსგავსად, შენ შენგან ნათხარს ორმოში ჩავარდები და ვედრება აღარას გაგივა.

რქვა რუქამ ჯუმბერს:

- რადგან შენი ლეონ ღორს შეადარე, ესრეთ გავიხარე, ვითამცა ყოველი ჩემი გულისა ნება აღმისრულდა- მვთქი.

თქვა რუქამ არაკი: